საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 24 ივლისი, 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 142

,,2012-2013 სასწავლო წლისათვის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის № 124 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება ,,2012-2013 სასწავლო წლისათვის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვის ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის № 124 დადგენილების მე-6 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- სამსახიობო სპეციალობაზე - 100 საათი ჯგუფზე.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია